

(სსმ III, 04.06.2010 წ., N 63 მუხ. 938)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
040.030.000.22.028.014.704

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა
დაცვისა და სპორტის მინისტრის
ბრძანება N 3/84
2010 წლის 31 მაისი ქ. თბილისი**

**“საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის
დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს N
3/255 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

“ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს N3/255 ბრძანებით (სსმ III, 2006წ., N105, მუხ. 1434) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საექსპერტო კომისიის წევრთა დანიშვნისას ეროვნული კინოცენტრის დირექტორი მათთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შესაბამის მხარეთა უფლებები და მოვალეობები.“;

ბ) მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საექსპერტო კომისიის საქმიანობის უზრუნველსაყოფად ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ხელშეკრულებით იყვანს მდივანს.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნ. რურუა